საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4560
19/08/2022

4560-21-2-202208190950

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3519 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, დაბა ვალეში მდ. ფოცხოვის წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მითითებულია, რომ პროექტით გათვალისწინებულია 764 მ სიგრძის გაბიონის მოწყობა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო გაბიონის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 843 მ–ს. ამასთან, წარმოდგენილი GPS კოორდინატები და shp ფაილები არ შეესაბამება ერთმანეთს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს, თუ საიდან მოხდება ნაპირსამაგრი ნაგებობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების (მათ შორის, გაბიონის შემავსებელი ლოდები, ბალასტი) შემოტანა;
- დოკუმენტში განხილული არ არის, წარმოქმნილი სამეურნეო–ფეკალური წყლების შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ დალუქვა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო